

13

სექტემბერი
September

12:00

Marc Bouchkov / violin
Alexander Ramm / cello
Mao Fujita / piano

César Franck (1822-1890)
Piano Trio No. 1 in F-sharp Minor, Op. 1 No. 1
Andante con moto
Allegro molto
Finale. Allegro maestoso

Johannes Brahms (1833-1897)
Piano Trio No. 1 in B Major, Op. 8
Allegro con brio
Scherzo. Allegro molto
Adagio
Finale. Allegro

მარკ ბუშკოვი / ვიოლინო
ალექსანდრე რამი / ჩელო
მაო ფუჯიტა / ფორტეპიანო

სეზარ ფრანკი (1822-1890)
საფორტეპიანო ტრიო No. 1 ფა დიეზ მინორი, თხზ. 1 No. 1
Andante con moto
Allegro molto
Finale. Allegro maestoso

იოჰანეს ბრამსი (1833-1897)
საფორტეპიანო ტრიო No. 1 სი მაჯორი, თხზ. 8
Allegro con brio
Scherzo. Allegro molto
Adagio
Finale. Allegro

ეზარ ფრანკი

საფორტეპიანო ტრიო No. 1 ფა დიეზ მინორი, თხზ. 1 No. 1

ფრანკმა დაიწყო თავის პირველ საფორტეპიანო ტრიოზე მუშაობა 1840 წელს, ჩვიდმეტი წლის ასაკში. ამ დროს ის ჯერ კიდევ სწავლობდა პარიზის კონსერვატორიაში ფორტეპიანოს, ორგანოსა და კომპოზიციის განხრით. ფრანკი თავად მიიჩნევდა, რომ პირველი და მეორე საფორტეპიანო ტრიოები მისი პირველი პროფესიულ დონეზე შექმნილი ნაწარმოებები იყო. ფერენც ლისტმა მოისმინა ისინი და ახალგაზრდა კოლეგას რამდენიმე რჩევაც მისცა. მოგვიანებით, როცა ლისტი ვაიმარში კაპელმაისტერად მსახურობდა, მან შეასრულა კიდევ ტრიოები. 1866 წელს კი, როდესაც უნგრელი კომპოზიტორი დაესწრო საკვირაო წირვას პარიზის ერთ-ერთ ეკლესიაში და ფრანკის საორგანო იმპროვიზაციები მოისმინა, მას უთქვამს: "როგორ შეიძლებოდა დამვიწყებოდა ის ადამიანი, ვინც ასეთი ტრიოები დაწერა?!" ფრანკს თავისთვის ჩაუჩურჩულებია: "ვფიქრობ, მას შემდეგ უკეთესი რაღაცეებიც შევქმენი". მართალიც იყო. მიუხედავად ამისა, პირველი ტრიო, დაწერილი ციკლურ ფორმაში და დაფუძნებული რამდენიმე ხშირად განმეორებად თემაზე, უკვე ავლენს მომავალ დიდ კომპოზიტორს.

იოჰანეს ბრამსი

ტრიო ვიოლინოს, ჩელოსა და ფორტეპიანოსთვის No. 1
სი მაჟორი, თხზ. 8

აი რობერტ შუმანს არ დავიწყებია იოჰანეს ბრამსი მათი პირველი შეხვედრის შემდეგ. მეტიც, მან 20 წლის ბრამსს გენიოსი და გერმანული მუსიკის გადამრჩენელი უწოდა. 1853 წლის სექტემბრის ბოლოს ეწვია ახალგაზრდა კომპოზიტორი იმ პერიოდის მუსიკალური სამყაროს ყველაზე ცნობილ წევრს - რობერტ და კლარა შუმანებს და მთელი ოთხი კვირა დაჰყო მათთან. როგორც ჩანს, სწორედ ამ დროს შეუყვარდა ახალგაზრდა კომპოზიტორს კლარა და სწორედ ეს გრძნობა - სიყვარულისა და დანაშაულის შეგრძნების ნაზავი - დაედო საფუძვლად ბრამსის შემოქმედების დიდ ნაწილს. საფორტეპიანო ტრიოზე მუშაობა ბრამსმა 1854 წლის იანვარში დაასრულა. იმავე წლის 27 თებერვალს კი შუმანმა, მრავალწლიანი ფსიქიური აშლილობით დატანჯულმა, რაინში თავის დახრჩობა სცადა. სწორედ ბრამსი დაეხმარა კლარას ურთულეს დღეებში. ერთი კვირის თავზე მათ შუმანი მოათავსეს ენდენიჰის თავშესაფარში, სადაც 1856 წელს გარდაიცვალა კიდევ დიდი კომპოზიტორი. უბედური შემთხვევის შემდეგ ბრამსი კლარას ყველაზე ერთგულ მეგობრად იქცა. მადლიერების ნიშნად კი კლარამ ბრამსს გაუწია რეკომენდაცია გამომცემლობა Breitkopf & Härtel-თან, რომელმაც დაბეჭდა კიდევ ბრამსის პირველი საფორტეპიანო ტრიო. 35 წლის შემდეგ ბრამსის გამომცემელმა ფრიც ზიმროკმა Breitkopf & Härtel-გან გამოისყიდა მისი პირველი 10 ოპუსი და შესთავაზა კომპოზიტორს, ხელახლა გამოქვეყნებამდე გადაემუშავებინა ნაწარმოებები. "კიდევ ერთხელ დავწერე ჩემი სი-მაჟორული ტრიო", - წერდა 1889 წლის ზაფხულში ბრამსი კლარას. ახალ ვერსიაში ბრამსმა ძირითადად შეინარჩუნა თემები, მაგრამ შეცვალა მათი დამუშავების ხერხები. ტრიო საგრძნობლად შემოკლდა და უფრო კომპაქტური გახდა. "შემიძლია ვუნოდო მას თხზ. 108 და არა თხზ. 8. ის არ იქნება ისეთი ველური, როგორიც იყო, მაგრამ იქნება კი იგი უკეთესი?" - იკითხა მან იმავე წერილში. ახალმა ვერსიამ მაინც შეინარჩუნა თხზულების ნომერი, თუმცა ბრამსმა გამოაქვეყნა ორივე და თავად მუსიკოსებს მისცა როგორც შეფასების, ისე არჩევანის გაკეთების საშუალება.

ამ დროს საქართველოში...

პირველი ქართული საფორტეპიანო ტრიო შეიქმნა ბრამსის სი-მაჟორული ტრიოს დაწერიდან თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ. შალვა თაქთაქიშვილმა (1900-1965), რომელიც საქართველოში კამერული მუსიკის პიონერად ითვლება, დაწერა პირველი ქართული საფორტეპიანო ტრიო რე მინორი 1944 წელს.

César Franck

Piano Trio No. 1 in F-sharp Minor, Op. 1 No. 1

Franck began composing his First Piano Trio in 1840, at the age of seventeen, while still studying at the Paris Conservatory piano, organ and composition. The set of the First and Second Piano Trios was regarded by Franck himself as the first of his mature work. Franz Liszt saw them and offered to the young colleague encouragement and some recommendations. Later, he even performed them after settling as Kappelmeister in Weimar. In 1866, when the Hungarian composer attended Sunday Mass at Sainte-Clotilde to listen to Franck's organ improvisations, he uttered: "How could I ever forget the man who wrote those trios?" Franck is said to have whispered: "I fancy I have done rather better things since then." He truly did. Though the First Trio, composed in cyclical form in which an entire work is based on several themes returning in each movement, does already give a glimpse of the great composer Franck would become.

Johannes Brahms

Piano Trio No. 1 in B Major, Op. 8

Unlike Liszt, Robert Schumann did not forget Johannes Brahms after meeting him, calling the 20-year-old a genius and the coming savior of German music. In the end of September 1853, the young Brahms visited the most celebrated couple of music society at that time - Robert and Clara Schumann and spent four weeks with them. Brahms fell in love with Clara and his feelings - a mixture of love and guilt - later became the basis for the major part of his oeuvre. Brahms completed his First Piano Trio in January 1854. On February 27, Robert Schumann, having suffered from mental disorder for many years, tried to drown himself in the Rhine. A week later Clara and Johannes put Schumann into a mental asylum in Eendenich where he died in 1856. Brahms supported Clara in those difficult days, becoming her most loyal friend. As a sign of gratitude, Clara recommended Brahms's new piano trio to Breitkopf&Härtel which issued the score in November 1854. 35 years later, Brahms's principal publisher Fritz Simrock bought the rights to his first 10 opuses from Breitkopf&Härtel and offered the composer the chance to revise them. "I have rewritten my B Major Trio," wrote Brahms to Clara in the summer of 1889. The main themes basically remained the same, but he treated them in a different way. The trio became considerably shorter and more condensed. "I can now call it Opus 108 instead of Opus 8," he remarked in the same letter to Clara. "It will not be as wild as it was, but whether or not it will be better?" The new trio maintained the opus number, but Brahms published both versions and gave musicians the opportunity to make a choice by themselves.

Meanwhile in Georgia

The first Georgian Piano Trio was composed almost a century after Brahms wrote his B Major Piano Trio. Shalva Taktakishvili (1900-1965), who is considered a pioneer of chamber music in Georgia, composed the very first Georgian Piano Trio D Minor in 1944.